პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

8

ოქტომბერი

კვირა,

1961 წ.

№ 159 (1795)

გამოვიდოდა მე-18 წელი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოეტიუდი ი. ჩარგეიშვილისა.

პროტესტს აცხადებენ

გდრ-ს პატარა ქალაქ ზებნიცში ამას წინათ მოეწყო ტრადიციული ველოსიპედოლა, სადაც მასპინძლებთან ერთად მონაწილეობდნენ ავსტრიის, ჰოლანდიის, დანიისა და პოლონეთის წარმომადგენლები. მონაწილეთა შორის იყო სამი კაცი, რომლებიც არც შეჯიბრების პროგრამაში იყვნენ აღნიშნული და არც მსაჯ-ინფორმატორს უსხენებია მათი გვარი. მაყურებლებმა და მონაწილეებმა მათ შესახებ მხოლოდ ერთი იცოდნენ, რომ სამივენი გფრ-ს სპორტსმენები იყვნენ.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოსვლით მათ პროტესტი განაცხადეს დიუსელდორფის სამარცხვინო გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ამ სპორტსმენების მწვრთნელმა თავის გფრ-ს სპორტულ კავშირს მისწერა, რომ ის თვლის გფრ-ს და გდრ-ს სპორტსმენების კონტაქტის დამყარების აუცილებლობას. მისმა მოწაფეებმა საქმით მხარი დაუჭირეს აღმზრდელს, განაცხადეს, რომ მზად არიან სტარტზე გამოვიდნენ მეგობრებთან, გდრ-ს სპორტსმენებთან ერთად, თუმცა მათ სახლში დევნა და აწიოკება ელით.



„ლოკომოტივი“ (თბილისი)-„დინამო“ (ბათუმი) — 1:1

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი“ (თბილისი)-„დინამო“ (ბათუმი).

ამ მატჩს თბილისის „ლოკომოტივისათვის“ არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. თავისი ლიდერობა მთელი სეზონის მანძილზე გუნდმა დაამტკიცა იმით, რომ უახლოეს მეტოქეს — ლენინაკანის „შირაქს“ საბოლოოდ გაასწრო 5 ქულით და ამიტომ დარჩენილ 2 მატჩს ბათუმელებთან და ტირასპოლის „პიშჩევიკთან“ არ შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა პირველი ადგილის მოპოვებაზე.

ბათუმელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. გუნდი თამაშობდა მონდომებით, ენერგიულად, აქტიურად.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს მას შემდეგ, რაც კარგად გამოიყენეს რკინიგზელთა დაცვაში დაშვებული შეცდომა. ბურთი გაიტანა ჩხარტიშვილმა — 1:0.

საპასუხო ბურთი ტაიმის დასასრულამდე გაგზავნა მოწინააღმდეგის კარში ლოკომოტიველმა აპრესიანმა და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 1:1.

მეორე ტაიმში მინდორზე მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბული ბრძოლა, მაგრამ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა — 1:1.

ნ. კიკნაძე

ასუჯრიან შაშში

ამ რამდენიმე დღის წინ იალტაში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ასუჯრიან შაშში. შეჯიბრება, რომელიც მესამედ ეწყობა ჩვენს ქვეყანაში, მსოფლიოს სპორტული წრეების ხაზგასმულ ყურადღებას იპყრობს. ეს აიხსნება ტურნირის შემადგენლობით, რომელშიც ცნობილი გროსმაისტერების აფრიკელი ბაბა სისას და ფრანგი იზარის გვერდით, ბრძოლაში ჩაბმული არიან მზარდი საბჭოთა ოსტატები ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი 18 წლის ა. ანდრეიკო (რიგა), უკრაინის ჩემპიონი ლ. სლობოდსკი და გამოცდილი მოშაშეები მოსკოვიდან, პარიზიდან, ამსტერდამიდან, ტაშკენტიდან, ბაქოდან, მინსკიდან.

მსოფლიო ჩემპიონი მოსკოველი ვ. შჩეგოლევი და ყოფილი ჩემპიონი კიეველი ი. კუპერმანი ემზადებიან მატჩ-რევანშისათვის, რომელიც ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება და ამიტომ ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

ტურნირში გათამაშებული V ტურის შემდეგ წინაა უკრაინელი. მ. კორხოვი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს. შეჯიბრება გაგრძელდება 18 ოქტომბრამდე.

სტარტი აიღეს მოჰადრაკეებმა

გუშინ ტაშკენტსა და ხარკოვში დაიწყო საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა (ნახევარფინალები) ჭადრაკში სპორტსაზოგადოებათა კოლექტივებს შორის. პირველობაში ჩაბმული არიან „სპარტაკის“, „ლოკომოტივის“, „ბურევესტნიკის“, „ავანგარდის“ და სხვა გუნდები. თვითეულ გუნდში შედის შვიდი ვაჟი და სამი ქალი.

საქართველოდან თავიანთ სპორტსაზოგადოებათა გუნდებში მონაწილეობენ ნ. გაფრინდაშვილი („ბურევესტნიკი“) და მ. შიშოვი („ლოკომოტივი“).

ნახევარფინალების დამთავრების შემდეგ (20 ოქტომბერი) სუთ-სუთი გამარჯვებული გუნდი თავს მოიყრის მოსკოვში ფინალურ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად.

გადამწყვეტ მომენტში

საერთაშორისო შეჯიბრება ჩოგბურთში

სპორტის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით ჩოგბურთელთა ტურნირის პირველი დღე ნაკლებ საინტერესოა მაყურებლებისათვის, რადგან უძლიერესნი ამ დღეს ან არ თამაშობენ ან მათზე გაცილებით სუსტ სპორტსმენებს ხვდებიან.

გამონაკლისს არც თბილისის „დინამოს“ კორტებზე გამართული უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და საქართველოს ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის პირველი დღე წარმოადგენდა.

პირველობის ძირითადი პრეტენდენტები: მოსკოვის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ორგზის (1959, 1960 წ. წ.) გამარჯვებული ი. გუიაში (უნგრეთი), კ. შაფარიკი (ჩეხოსლოვაკია), ნ. მძინარიშვილი, ა. მეტრეველი, ა. ვერულავა და სხვები უბრძოლველად გავიდნენ მერვედფინალში.

პირველი დღის შეხვედრებიდან აღსანიშნავია მზარდი ჩოგბურთელების გ. ახალაძისა და ა. ბაქრაძის გამარჯვება შესაბამისად ჩეხოსლოვაკიის და ბულგარეთის ჩემპიონებზე ჭაბუკთა შორის ს. ლუკაჩსა და კ. იაშმანოვზე.

წარუმატებლად დაიწყო შეჯიბრება ა. მეტრეველმა, რომელმაც ვერ ააწყო თამაში უნგრელ ლ. ლენარტისთან და დამარცხდა — 3:6, 2:6. უნგრელმა ამ დღეს მეორე გამარჯვებაც მოიპოვა. მან დ. კერესელიძესთან ერთად დამარცხა ურაევსკი-ბაქრაძის წყვილი — 6:2, 7:5. ჩეხოსლოვაკელი ჩოგბურთელების უ. კლიმოსა და მ. ტაიტსნარის შეხვედრაში, გაიმარჯვა პირველმა. მესმა თანამემამულე ფ. ვრბამ კი დაამარცხა უნგრეთის ჩემპიონატის პრიზიორი ფ. ზენტაი.



საპრიზო ადგილზე ბრძოლის შანსი დაკარგეს ა. ბაქრაძემ და პ. მეტრეველმა, რომლებმაც დამარცხება განიცადეს ნ. მძინარიშვილთან და ა. ვერულავასთან შეხვედრაში.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა ი. რიაზანოვამ მეტად უფერულად ითამაშა ჩეხოსლოვაკელ ე. გონდუხოვას წინააღმდეგ და დამარცხდა — 4:6, 4:6, უნგრელმა კ. ბარდოციმ, რომელსაც ერთი ქულა უკვე ჰქონდა მოპოვებული ე. გონდუხოვაზე გამარჯვებისათვის, ამჯერად ნ. თუხარელი დამარცხა — 6:2, 6:1. რ. აბჟანდაძემ მოუგო ა. ივანოვას—6:4, 7:5.

საინტერესოდ ჩატარდა შერეული წყვილების გუიაშ-ბარდოციისა და მეტრეველ-აბჟანდაძის შეხვედრა. თავდაპირველად გეიმს იგებდა მომწოდებელი წყვილი, მაგრამ ეს „წესი“ დაირღვა, როცა ანგარიში გახდა 3:3. ქართველმა ჩოგბურთელებმა ზედიზედ მოიგეს მომდევნო ორი გეიმიც—5:3. გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯიღა იყო დარჩენილი, მაგრამ საერთაშორისო შეხვედრებში გამობრძმედილმა უნგრელებმა უაღრესად მაღალტექნიკური თამაში გამოავლინეს და თითქმის დაკარგული გამარჯვება დაიბრუნეს — 7:5.

იგივე სურათი განმეორდა მეორე პარტიაშიც. გადამწყვეტ მომენტში უნგრულებმა კვლავ მოახერხეს ქართველ ჩოგბურთელთა წინააღმდეგობის გატეხვა და შეხვედრაც მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 7:5.

„დაკარგულ შესაძლებლობათა დღედ“ მონათლეს თბილისელმა გულშემატკივრებმა შეჯიბრების მესამე ტური, რომელმაც ბევრი უსიამოვნება მოუტანა პირველობისაკენ მომავალ ქართველ ჩოგბურთელებს.

ი. გუიაშმა ადვილად დაამარცხა ლ. მძინარიშვილი — 6:1, 6:2. ძმის ხვედრი გაიზიარა ნ. მძინარიშვილმაც, რომელიც დამარცხდა პრაღის საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვებულ ჩეხოსლოვაკელ კ. შაფარიკთან შეხვედრაში — 2:6, 8:6, 3:6.

საქართველოს ჩემპიონი ა. ვერულავა დამარცხდა ჩეხოსლოვაკელ ე. კლიმოსთან (6:2, 4:6, 6:8).

ამრიგად, ნახევარფინალში გავიდნენ უნგრელი ი. გუიაში და ჩეხოსლოვაკელები: ვრბა, შაფარიკი და კლიმო.

ქალთა შეხვედრებიდან დიდი ინტერესი გამოიწვია ი. რიაზანოვასა და საქართველოს ჩემპიონის რ. აბჟანდაძის „დუელმა“. მათი შეხვედრების ისტორიაში რ. აბჟანდაძემ პირველად დაამარცხა თავისი „მრისხანე“ მეტოქე — 6:4, 6:4, და უნგრელ კ. ბარდოციასთან ერთად დაუმარცხებლად მიიღტვის პირველი ადგილისაკენ.

ვ. კანდელაკი,
ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

ბ. სამსონაძე

სურათზე: ქვევით ნ. მძინარიშვილისა და კ. შაფარიკის შეხვედრის მომენტი. ზევით (მარჯვნივ) პირველობის აღიარებული პრეტენდენტი კ. ბარდოცი.

ფოტო ი. იუნანიძისა

მიზარდ ფეხბურთელთა მაცხოვები

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა ამას წინათ იმსჯელა ჭაბუკთა შორის სპორტის ამ სახეობის შემდგომი პოპულარიზაციისა და თამაშის კლასის საერთო ამაღლების თაობაზე.

სხვა ღონისძიებათა შორის, გადაწყდა მოეწყოს ამხანაგური მატჩების მთელი სერია მოზარდთა გუნდებს შორის. ა. წ. ოქტომბრის თვეში. ჩატარდება შემდეგი თამაშები: აზერბაიჯანი-ლენინგრადი, სომხეთი-მოსკოვი, ყაზახეთი-უზბეკეთი, საქართველო-უკრაინა. გუნდების შემადგენლობაში ითამაშებენ 1944-45 წლებში დაბადებული ფეხბურთელები.

თამაშები ჩაიმართება ბაქოში, ერევანში, თბილისში, ალმა-ატაში, ტაშკენტში.

საბჭოთა კავშირის 1961 წლის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში

ისევ ლენინგრადელები

ისე, როგორც ამ ჩემპიონატის ყველა სხვა სახეობაში, ქალთა შორის ბირთვის კვრაშიც მედლების ბედი ფაქტიურად ფინალში გადაწყდა, მაგრამ მთავარი ეს როდი იყო. საბჭოთა ქალებს ეკუთვნით (კერძოდ თ. პრესს) მსოფლიო რეკორდი ბირთვის კვრაში. მაყურებელი სამართლიანად მოელოდა მის გაუმჯობესებას. მოლოდინი კი არ გამართლდა. მართალია, თ. პრესმა ყველა ცდაში გადალახა 16-მეტრიანი ზღვარი (მოწინააღმდეგეებიდან ეს მხოლოდ ორმა შეძლო, გ. ზიბინამ — 16.49 და ზ. დოინიკოვამ— 16.25 და მოიპოვეს კიდევაც ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები), მაგრამ მხოლოდ ერთხელ მიუახლოვდა 17 მეტრს, როცა აჩვენა 16.95 მ, რამაც მას ჩემპიონობა მოუპოვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ პრესმა გასულ წელს ოქროს მედალი მიიღო უფრო მაღალი შედეგის — 17.42 მეტრის ჩვენებისათვის. წლევანდელ ჩემპიონატზე პრესის მიერ ნაჩვენები შედეგი სრულებითაც არ ლაპარაკობს მის შესაძლებლობათა ამოწურვაზე. ამის შესახებ თვითონ გვესაუბრა იგი შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, როცა რწმენა გამოთქვა, რომ თუ წელს არა, მომავალ წელს მაინც 18 მეტრამდე აიყვანს მსოფლიო რეკორდს ბირთვის კვრაში.

ვ. ბალოდი (უზბეკეთი) სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული.

სიურპრიზები ესტაფეტაში

ქალთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე გამარჯვების მთავარი ფავორიტი იყო ლენინგრადის I ნაკრები. მართლაც, რომელი გუნდი აღუდგებოდა წინ იმ კოლექტივს, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ საბჭოთა სპორტის ყველა გამოჩენილი ვარსკვლავი: ი. პრესი, ტ. შჩელკანოვა, ლ. მოტინა და ა. ჩერნიშოვა. ლენინგრადელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩინებულად გაირბინეს მთელი დისტანცია და ფინალში პირველი ადგილი დაიკავეს — 45,9. მეორე ადგილი დაიკავა მოსკოვის პირველმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ნ. ელისეევა, მ. გაიდა, თ. ბოჩკარიოვა, ს. ვეტროვა — 46,6. უკრაინის პირველი ნაკრები მესამე ადგილზე დარჩა — 46,8.

დრამატულად წარიმართა ბრძოლა ვაჟთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე. პირველსავე ეტაპზე ლენინგრადის პირველი გუნდი დააწინაურა ე. ოზოლინმა. შემდგომში, როდესაც გამარჯვებისათვის ბრძოლამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, უხეში შეცდომები დაუშვეს უკრაინისა და მოსკოვის გუნდების წარმომადგენლებმა. მესამე და მეოთხე ეტაპებზე ესტაფეტის არასწორი გადაცემისათვის ეს კოლექტივები მოიხსნა. გამარჯვება მოიპოვეს ლენინგრადის პირველი ნაკრების მძლეოსნებმა — 40,7.

ესტაფეტაში 4×400 მეტრზე (ვაჟთა შორის) ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა სტარტი პირველ გარბენში აიღო. მასთან ერთად სარბენ ბილიკზე გამოვიდნენ ლიტვის, ესტონეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის გუნდები. საქართველოს მძლეოსნებმა მეორე ადგილი დაიკავეს გარბენში (3.20.16) ესტონეთის შემდეგ (3.16,5).

მეორე გარბენში, სადაც პირველობისათვის იბრძოდნენ ლატვიის, ყირგიზეთის, სომხეთისა და მოლდავეთის გუნდები, ეს შედეგები არ გაუმჯობესებულა. სამაგიეროდ, მესამე გარბენის ოთხმა მონაწილემ, კერძოდ კი ლენინგრადის II, უკრაინის II, მოსკოვის II და ყაზახეთის გუნდებმა მასზე უკეთესი შედეგები აჩვენეს.

ყველაზე ძლიერი შემადგენლობა თავმოყრილი იყო მეოთხე გარბენში, სადაც ფაქტიურად გათამაშდა პირველი სამი ადგილი. გამარჯვება მოიპოვეს მოსკოვის პირველი გუნდის მძლეოსნებმა — 3.10,8. მომდევნო ადგილები დაიკავეს რუსეთის ფედერაციის (3.11,5) და უკრაინის გუნდმა (3.11,7). საქართველოს მძლეოსნები მე-11 ადგილზე გამოვიდნენ.

ქალთა ესტაფეტაში 4×200 მეტრზე საქართველოს გუნდმა მოიგო პირველი გარბენი შედეგით 1.44,8. მეორე გარბენში ეს შედეგი ორმა გუნდმა (უკრაინის II კოლექტივმა და ყაზახეთმა) გააუმჯობესა, და ერთმა (მოსკოვის II ნაკრებმა) გაიმეორა. მესამე გარბენში გამოდიოდა ექვსი გუნდი. ექვსივე კოლექტივმა ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნებზე უკეთესი შედეგი აჩვენა. პირველი ადგილი დაისაკუთრეს რუსეთის ფედერაციის (1.37,4), მეორე ლენინგრადის (1.38,6) და მესამე ბელორუსიის (1.39,4) წარმომადგენლებმა. ამ უკანასკნელთა წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა მ. იტკინამ. საქართველოს მძლეოსნებს ჰქონდათ IX-X შედეგი.

ძალაში დარჩა

საბჭოთა კავშირის რეკორდების ცხრილში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი შედეგია 400 მეტრზე თარჯრბენის რეკორდი. იგი 8 წლის წინ დაამყარა ლენინგრადელმა ოსტატმა ი. ლიტუევმა — 50,4. მას შემდეგ ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა თარჯმრბენლებმა არაერთხელ სცადეს ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება, მაგრამ ამაოდ. რეკორდი მიუღწეველ ზღვარად იდგა.

საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს გულითა და სულით სურდათ ამ „აბეზარა" რეკორდის გაუქმება თბილისში და ვინ იცის, რა ბედი ელოდა მას, ამინდს რომ არ შეეშალა ხელი სპორტსმენებისათვის. სიცივისა და სველი ბილიკის მიუხედავად ფინალის მონაწილეებმა გააუმჯობესეს წინასწარ გარბენში ნაჩვენები შედეგები, მაგრამ ეს სარეკორდო შტურმისათვის საკმარისი არ გამოდგა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ამ დისტანციაზე გახდა უკრაინელი ვ. ანისიმოვი — 51,1. ასეთივე შედეგი აჩვენა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა გ. ჩევიჩალოვმა, მაგრამ ფინიშზე იგი მკერდით უკან იყო თავის მოწინააღმდეგეზე.

დიდი შეჯიბრ[ებებში]

★ ★

მეხუთე ადგილზე

ქალთა 400 მეტრზე რბენის ფინალში მოხვდა მოსკოვის პირველი გუნდის სამი წევრი—ვ. მუჟანოვა, ვ. პოდოპრიაგოვა და თ. დმიტრიევა, ლენინგრადელი ე. პარლიუკი, უკრაინელი ლ. ლისენკო-შევცოვა და ლ. აუზინია ლატვიიდან.

რა შანსები ჰქონდათ მოწინააღმდეგეებს? მიმდინარე სპორტული სეზონის შედეგების მიხედვით ამ დისტანციაზე სხვებზე უკეთ მომზადებულნი იყვნენ მოსკოველი ვ. მუჟანოვა, ლენინგრადელი ე. პარლიუკი და რიგელი სტუდენტი ლ. აუზინია. 800 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენის ლ. ლისენკოს შანსები არც თუ ისე მაღლა ფასდებოდა, მაგრამ მისი ფინალში ყოფნა მაყურებელს რაღაც მოულოდნელის იმედს აძლევდა.

დაიწყო რბენა და ცხადი გახდა, რომ მსოფლიო რეკორდსმენისათვის უცხოა სპრინტერული ტემპი. იგი უკვე შუა დისტანციაზე ჩამორჩა ლიდერებს და ფაქტიურად გამოაკლდა პირველობისათვის ბრძოლას. მაღალი ტემპის შენარჩუნება შეძლო მხოლოდ ე. პარლიუკმა, რომელმაც ყველაზე ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი—54,3. მსოფლიო რეკორდსმენი მხოლოდ მეხუთე ადგილზე დარჩა.

ვ. კრეერი — პირველი

გასულ წელს კიევში გამართულ მძლეოსანთა საკავშირო პირველობაზე სამხტომში ჩემპიონობა მოიპოვა ვ. კრეერმა. მაშინ მან აჩვენა 16.42 მ, მაგრამ ეს არ იყო მის შესაძლებლობათა ზღვარი. მას ერთი სანტიმეტრით უკეთესი შედეგი ჰქონდა რომის ოლიმპიადაზე. ხოლო მისმა თანაგუნდელმა ვ. გორიაევმა მაშინ 20 სანტიმეტრით აჯობა. ამასთან ისინი სხვადასხვა დროს იყვნენ ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენები (ამჟამად რეკორდი ეკუთვნის კრეერს — 16.71 სმ).

ცხადია ამჟამად სწორედ ესენი იყვნენ გამარჯვების ძირითადი პრეტენდენტები, მაგრამ სპორტში ხშირად ხდება მოულოდნელობანი და მისგან თავის დასაზღვევად კრეერი და გორიაევი ფრთხილად მიიწევდნენ ფინალისაკენ.

ფინალში საკავშირო რეკორდი არაერთხელ იყო საფრთხეში. ერთხელ იგი აშკარად „გადარჩა", როცა კრეერმა თავი ვერ შეიკავა და ხტომის შემდეგ წონასწორობა დაჰკარგა — ხელით შეეხო მიწას. მსაჯებმა აღნიშნეს მხოლოდ 16.54 მ. სწორედ ამ შედეგმა მოუტანა ვ. კრეერს (რსფსრ) ჩემპიონობა. 2 სანტიმეტრით წააგო მასთან ვ. გორიაევმა.

მესამე ადგილის ბედი გადაწყდა ფინალის წინასწარ შეჯიბრებებში. აქ მეორე ცდაზე აზერბაიჯანის გუნდის წევრმა ა. დემენტიევმა აჩვენა 16.26 მ და სხვებისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

როგორ სრულდება ვალდებულებანი

მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღებულია მზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად, საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ივალდებულეს სასახელო მაჩვენებლებით შეხვედროდნენ დიად თარიღს. ხოლო ამ დღეებში ყველგან მიმდინარეობს აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პლენუმი, სადაც მოხსენებით გამოვიდა ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე ტ. კიკნაველიძე. მან აღნიშნა, რომ საზოგადოების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შარშან მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობის საქმეში, რისთვისაც ცენტრალური საბჭო დაჯილდოვდა სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს, აგრეთვე რესპუბლიკური სპორტკავშირის საბჭოს გარდამავალი დროშებით. კარგი მუშაობისათვის ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა „განთიადის" 8 ფიზკულტურული კოლექტივი.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით აჭარის, ქუთაისის, ბორჯომის, გორის, ხაშურის, ზესტაფონის, თბილისის საბჭოებს. მიმდინარე წლისათვის განთიადელებს გეგმით მოსამზადებელი ჰყავთ 17 ოსტატი, 194 პირველთანრიგოსანი და 6581 მეორე, მესამე და ჭაბუკთა თანრიგოსანი. 5.000 საზოგადოებრივი კადრი. 90 ათასამდე უნდა გაეზარდათ საზოგადოების წევრთა რიცხვი და საწარმოო ტანვარჯიშში ჩაებათ 80 ათასამდე კაცი.

ვალდებულებათა ძირითადი ნაწილი განხორციელებულია, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს. ამ მხრივ „გამოირჩევიან" აბაშის, ჰიათურის, სამხრეთ ოსეთის, ახალციხის, აფხაზეთის, მახარაძის, საგარეჯოს, სამტრედიის, კასპის და სხვათა რაიონული საბჭოები, აგრეთვე თბილისის მთელი რიგი ფიზკულტურული კოლექტივები.

სამწუხაროდ, არის ისეთი ფაქტები, როცა მატების ნაცვლად ადგილი აქვს კლებას. მაგალითად, ზუგდიდის, ბორჯომის, კასპის, სამხრეთ ოსეთის რაიონებში შემცირდა ფიზკულტურელთა რაოდენობა, გარღვევებია საზოგადოებრივი კადრების, ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაში და ყველაფერი ეს გამოწვეულია ხელმძღვანელ მუშაკთა საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით. ვხვდებით ისეთ ფაქტებსაც, როცა თანამდებობის შეუფერებელ ადამიანებს, განთავისუფლების ნაცვლად აწინაურებენ. ასე იყო ბოლნისში, როცა „განთიადის" რაისაბჭოს თავმჯდომარეს არაქელიანს „სპარტაკის" რაისაბჭოს თავმჯდომარეობაც დაავალეს და ახლა ორივეგან საქმე თითქმის მთლიანად ჩაშლილია.

პლენუმის ძირითადი საკითხის ირგვლივ ინფორმაციებით გამოვიდნენ აფხაზეთის „განთიადის" საბჭოს თავმჯდომარე ლომინაძე, გოლოვანოვა (სამხრეთ ოსეთი), კრასიკოვი (რუსთავი), ქელენტი (სპორტკლუბი „გამარჯვება"). კამათში გამოვიდნენ გედევანიშვილი (ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა), მამინაშვილი (აჭარის საოლქო საბჭო), დვალი (სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი), აფრიდონიძე (ქუთაისი), ჩხიკვაძე (ფეხბურთის თბილისის სექციის პრეზიდიუმის წევრი) და სხვანი, რომლებიც ლაპარაკობდნენ მიღწევა-ნაკლოვანებებზე.

პლენუმზე „განთიადის" ცენტრალურ საბჭოს საქართველოს სპორტკავშირის გარდამავალი დროშა გადასცა საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ.

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ი. ბოჭორიძის შემაჯამებელი გამოსვლის შემდეგ, გამოქვეყნდა საკავშირო პროფსაბჭოს ბრძანებულება „განთიადის" მუშაკთა სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

XXII ყრილობის შესახვედრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. დოლიძისა.

მეგობრული შარჟები მარცხნიდან — ვ. კუზნეცოვი, ტ. შჩელკანოვა, მ. იტკინა.



...ბის ფინიშზე

★

ოქროს მედლის ბედი ფინალამდე გადაწყდა

წვიმიანმა ამინდმა უარყოფითად იმოქმედა შუბის მტყორცნელ ქალთა შედეგებზეც, მაგრამ გამარჯვებულ ე. ოზოლინას (ლენინგრადი I) მაჩვენებელი — 56.98 მ არც თუ ისე ცუდია საკავშირო ჩემპიონატებზე ნაჩვენებ შედეგებთან შედარებით. მაგალითად შარშან კაუნასელ ბ. კალენედეს, როცა ოქროს მედალი მოიპოვა, მხოლოდ 54.88 მ ჰქონდა. ოზოლინასაგან მაყურებელი და სპეციალისტები ამ ჯერად მეტს ელოდნენ, რადგან სწორედ მას ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი — 59.55 მ და უძლიერესი იყო რომის ოლიმპიურ თამაშებზეც.

ე. ოზოლინამ ოქროს მედლის ბედი თავის სასარგებლოდ ფინალამდე გადაწყვიტა, როცა საკვალიფიკაციო შეჯიბრების შემდეგ „12-ის ტურნირზე" მიაღწია სხვებისათვის მიუწვდომელ ზღვარს. ფინალში მან მხოლოდ ერთი ტყორცნა განახორციელა და მაშინაც წესი დაარღვია — გასცდა საკონტროლო ხაზს. ვიდრე მეორე ცდა მოუწევდა, მან გულდასმით შეისწავლა მოწინააღმდეგეთა შესაძლებლობანი და მიიღო სწორი გადაწყვეტილება: ცუდი ამინდი არ მისცემდა რეკორდის გაუმჯობესების საშუალებას, მოწინააღმდეგეთაგან მისი ჯობნა კი არავის შეეძლო და... ასპარეზი მოწინააღმდეგეებს დაუთმო.

არც ლიდერის ყველაზე „საშიშ" კონკურენტებს გაუმართლდათ ამჯერად. მეორე და მესამე ადგილები ა. შასტიტკომ (ლენინგრადი I) და ე. გორჩაკოვამ (მოსკოვის I) შედეგებით — 53.15 და 53.10 შესაბამისად მოიპოვეს ფინალურ შეხვედრებამდე. ფინალში მხოლოდ ლიტველმა ა. სტაიჩუტემ შეძლო შედეგის გაუმჯობესება ,

★

წვიმის ქვეშ

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, როცა ვლაპარაკობდით 800 მეტრზე რბენის შესახებ, ხაზი გავუსვით ჩვენი მორბენლების აშკარა ჩამორჩენას ამ დისტანციაზე.

ზუსტად იგივე ითქმის მეორე საშუალო დისტანციის — 1.500 მეტრის შესახებაც. საბჭოთა მძლეოსანთა საერთო პროგრესის ფონზე, განსაკუთრებით ხელსახებია ჩვენი მიტელშტეკერების (საშუალო მანძილზე მორბენლების) სერიოზული ჩამორჩენა. მართლაც, მსოფლიო და საკავშირო რეკორდების უბრალო შედარებაც კი ნათელჰყოფს სურათს: პირველი ეკუთვნის ავსტრალიელ ჰ. ელიოტს და უდრის 3.35,6 წუთს, ხოლო მეორე — ვილნიუსელ ი. პიპინეს — 3.41,1. განსხვავება მეტად საგრძნობია (ალარაფერს ვამბობთ საქართველოს რეკორდზე, რომელიც ნ. თვაურს ეკუთვნის — 3.56,2).

დაბალი მაჩვენებლები საშუალო დისტანციაზე ყოველთვის მძიმედ ემჩნევა საბჭოთა გუნდს უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ასე იყო კერძოდ, რომის ოლიმპიადაზეც, სადაც 1500 მეტრზე რბენაში პირველ ექვსეულში ჩვენგან ვერ მოხვდა ვერავინ.

მდგომარეობას გამოსწორების ნიშანწყალი არ ეტყობოდა ახლაც. მართალია, 1.500 მ რბენის ფინალი ძლიერი წვიმის ქვეშ მიმდინარეობდა და ამან, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა ფინალისტთა შედეგებზე, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: საერთო კლასი რბენის ამ სახეობაში დაბალია.

პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა მოსკოვის I გუნდის წევრმა ვ. კარაქლოვმა — 3.51,2. რეკორდის მფლობელი ი. პიპინე ფინალისტთა შორის ერთ-ერთი უკანასკნელი იყო.

ოთხი დღის შემდეგ

1. **მოსკოვი** — 103.256 ქულა.
2. **ლენინგრადი**—102.991 ქულა.
3. **უკრაინა** — 98.885 ქულა.
4. **რსფსრ** — 97.875 ქულა.
5. **ბელორუსია** — 58.591 ქულა.
6. **საქართველო** — 40.792 ქულა.
7. **ლიტვა** — 38.934 ქულა.

შენიშვნა. ცხრილში შეტანილი არ არის მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის მეორე გუნდების შედეგები, რომლებიც შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობენ.

უშედეგო ბრძოლა რეკორდისათვის

ჭოკით მხტომელთა ფინალში მონაწილე 12 სპორტსმენიდან წინასწარ ხტომებში თვითეულმა მათგანმა 4 მ 30 სმ ზღვარის გადალახვა მოახერხა.

ფინალში მონაწილეთაგან მოსკოველმა ა. სემიჩევმა პირველი სიმაღლე 4 მ 20 სმ ვერცერთ ცდაზე ვერ აიღო და 0 ქულა მისცა გუნდს, 6 სპორტსმენმა კი 4 მ 20 სმ შედეგით დატოვა სახტომი სექტორი. მათ შორის იყო საქართველოს წარმომადგენელი ვ. ვენცკევიჩი, რომელმაც პირველ ცდაზევე აიღო 4 მ 20 სმ, გამოტოვა 4 მ 30 სმ სიმაღლე (მისი პირადი შედეგი და საქართველოს რეკორდი — 4 მ 30 სმ-ია) და შეჯიბრება 4 მ 40 სმ სიმაღლეზე ხტომით განაგრძო. სწორედ ეს გარემოება აღმოჩნდა მისთვის საბედისწერო. მან სამივე ცდა უშედეგოდ დაამთავრა და ამ ტაქტიკური შეცდომის გამო 4 მ 20 სმ შედეგით მეორე ექვსეულში მოხვდა. ორი სპორტსმენი ნ. კოსტენკო (ლენინგრადი II გუნდი) და ვ. კოტოლუნოვი (უკრაინა I გუნდი) 4 მ 30 სმ ზღვარს ვერ ასცილდნენ და მე-4-5 ადგილებით დაკმაყოფილდნენ. ბრძოლა საპრიზო ადგილებისათვის განაგრძო სამმა სპორტსმენმა — იან კრასოვსკისმა (მოსკოვი I გუნდი), იგორ პეტრენკომ (უკრაინა I გუნდი) და იური პლეშაკოვმა (მოსკოვი I გუნდი). როცა მათ 4 მ 40 სმ გადალახეს, სამივემ უკვე იცოდა, რომ საპრიზო ადგილის მფლობელი იყო, მაგრამ არ იცოდა ვინ რომელ „მედალს" ფლობდა — ი. პლეშაკოვმა ეს ადრე გაიგო—მან 4 მ. 50 სმ სიმაღლის აღება ვერ შეძლო და ამით სამუცნობიანი განტოლება ორუცნობიანამდე დაიყვანა: მოსკოველი ი. პლეშაკოვი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. თამასაზე 4 მ 60 სმ-ია! პირველი ი. კრასოვსკისი ხტება. I ცდა უშედეგოდ უკრაინელმა ი. პეტრენკომ პირველ ცდაზევე თავისუფლად და მშვიდად აიღო ეს ზღვარი და გააუმჯობესა თავისი პირადი და უკრაინის რეკორდი (4 მ 56 სმ). ამ სიმაღლის აღებას ი. კრასოვსკისი მეორე ცდაზე ახერხებს.

მსაჯები თამასას 4 მ 68 სმ-ზე აყენებენ. იწყება ბრძოლა ორი რეკორდის დაპყრობისათვის. ვერცერთმა სპორტსმენმა ვერცერთ ცდაზე სარეკორდო ზღვარის დაპყრობა ვერ მოახერხა და ი. კრასოვსკისის ისღა დარჩა, რომ უკრაინელი სპორტსმენისათვის გამარჯვება მიელოცა.

ვ. კუცის კვალზე

13.35,0 — ესაა ვ. კუცის შესანიშნავი მსოფლიო რეკორდი 5.000 მეტრზე რბენაში, რომელიც ურყევად ზის ცხრილის სათავეში 1957 წლიდან. ეს შედეგი კარგა ხანია მსოფლიოს უძლიერეს სტაიერთა ენერგიული შტურმის ობიექტადაა ქცეული და ახალი რეკორდის დამყარების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია პ. ბოლოტნიკოვი, მაგრამ თუ მას მომავალშიც ისეთ „კომპანიონებთან" მოუხდა რბენა, როგორც ეს იყო თბილისის ჩემპიონატში 6 ოქტომბერს, ვ. კუცს შეუძლია მშვიდად იყოს: მისი რეკორდი არ მოიხსნება კიდევ კარგა ხანს.

საქმე იმაშია, რომ პ. ბოლოტნიკოვი მარტოდმარტოდ ებრძვის კუცის რეკორდს. კიდევ ერთხელ თვალსაჩინო შეიქმნა, რომ ამ გამოჩენილ მორბენლის მიღმა არ ჩანან ახალი ტალანტები, რომელთა დიდ პერსპექტივებზე შეიძლებოდეს სერიოზული ლაპარაკი. ასე იყო 10.000 მეტრზე რბენაში, ასე იყო 5.000 მეტრზეც.

მისცა თუ არა მესტარტემ რბენის დაწყების ნიშანი, წინ წავიდა პ. ბოლოტნიკოვი, რომელმაც ასე მარტოობაში განვლო 12,5 წრე. ის, რაც უეჭველი ჩემპიონის ზურგს უკან ხდებოდა, ინტერესმოკლებული იყო არამარტო ლიდერისათვის, არამედ მაყურებლებისათვისაც, ვინაიდან მეორე ადგილის პრეტენდენტები საკმაოდ „ფეხათრევით" მიიწევდნენ წინ.

პ. ბოლოტნიკოვმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი — 14.08,1. მომდევნო ადგილები დაიკავეს ი. სმირნოვმა (რსფსრ) — 14.34,4 და ა. გორნიმ (უკრაინა) — 14.34,6.

იერიში წარმატებით დამთავრდა

— ამ შეჯიბრებაზე სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. რუდენკოვმა (მოსკოვი I) დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი — 68 მ 95 სმ. ძველი რეკორდი 68 მ 92 სმ მასვე ეკუთვნოდა — ასეთი ცნობა მიაწოდა სპორტის მოყვარულებს სტადიონის დიქტორმა, როცა გადმოცემდა უროს მტყორცნელთა ფინალური შეხვედრების შედეგებს. მაგრამ რეკორდი ერთბაშად როდი მოსულა. ფაქტიურად ეს იყო უკანასკნელი აკორდი შესვენების წინა დღეს, როცა მრავალთა შორის (ამ დღეს გათამაშდა 14 ფინალი) მხოლოდ რუდენკოვმა მიაღწია სასურველს.

რუდენკოვის ეს გამარჯვება შემთხვევითი როდია. მან ჩემპიონობა ფაქტიურად შეინარჩუნა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად შარშანდელ შედეგს — 67 მ 27 სმ ერთბაშად 1.68 მ მოუმატა და კიდევ რამდენიმე მიუახლოვდა ჰ. კონოლის (აშშ) მსოფლიო რეკორდს — 70.33 მ.

ვერცხლის მედლისათვის იბრძოდა ხუთი ოსტატი, მათ შორის ყველაზე რეალური პრეტენდენტები იყვნენ ბაქოელი ვ. ტატარინცევი და მოსკოველი კ. მიგუნკო. ფინალის პირველსავე ცდაზე წინ გავიდა ბაქოელი ოსტატი—64.78 მ მაგრამ მოსკოველმა უკეთეს შედეგს მიაღწია მეორე ცდაზე და მეორე ადგილიც მას დარჩა — 65.44 მ.

რაც შეეხება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს, მათ უკვე საკვალიფიკაციო შეჯიბრების დროს დაამთავრეს თავიანთი საქმე. ო. ართილაყვამ აჩვენა 53.46 მ; ე. მეჟენკოვმა — 51.85 მ, მაშინ, როცა ჩასათვლელი ნორმატივი უდრიდა 56 მეტრს.

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

დღეს, 19 საათსა და 30 წუთზე (თბილისის დროით) მოისმინეთ სსრ კავშირის თასზე სტალინოს „შახტიორისა" და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი.

მაქინაციების დასასრული

კუბის სპორტისა და დასვენების ეროვნულმა ინსტიტუტმა ლიკვიდაცია უყო პროფესიონალ მოკრივეთა და მენეჯერთა ყველა ლიცენზიას. ამით ბოლო მოეღო პროფესიონალურ კრივს ამ ქვეყანაში. ეს გადაწყვეტილება იმითაა მოტივირებული, რომ უკანასკნელ ხანებში პროფესიულ კრივში ძალზე გაბშირდა ბნელი მაქინაციები. დიდი ხნის განმავლობაში საქმოსნები მდიდრდებოდნენ სპორტსმენთა ექსპლოატაციის წყალობით, რომელთაც ხელს აწერინებდნენ კაბალურ კონტრაქტებზე, როგორც სურდათ ისეთი შედეგებით ამთავრებინებდნენ ბრძოლებს, გამდიდრების მანიით შეპყრობილები არაფრად აგდებდნენ სპორტსმენთა ჯანმრთელობას. პროფესიონალური კრივის მენეჯერები დაკავშირებული იყვნენ ამერიკელ კოლეგებთან, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი ბნელი მოღვაწეობით.

შედგა მორიგი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში იმ ქვეჯგუფში, სადაც მოხვედრილი არიან ბელგიის, შვეიცის და შვეიცარიის გუნდები. ერთმანეთს შეხვდნენ ბელგიელები და შვედები.

მატჩი მოიგეს შვედებმა — 2:0. ქვეჯგუფში გამარჯვებულის საკითხს გამოარკვევს გადამწყვეტი შეხვედრა შვეიცისა და შვეიცარიის გუნდებს შორის. რაც შეეხება ბელგიელებს, მათი მდგომარეობა უიმედოა.

ფავორიტები ცნობილია

ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ დაიწყება ევროპის თასის მეორე გათამაშება ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

თასის მეორე გათამაშება დიდ ინტერესს იწვევს, ვინაიდან მასში მონაწილეობას მიიღებს ევროპის თითქმის ყველა უძლიერესი გუნდი: სსრკავშირი, ავსტრია, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, დანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, ირლანდია, იუგოსლავია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, თურქეთი, უნგრეთი, ბელგია, ისლანდია, შვეიცარია და იტალია. სულ 22 ქვეყანა

თასში მონაწილეობისაგან თავი შეიკავეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეიცის, ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და ჩრ. ირლანდიის გუნდებმა. მიუხედავად ამისა, ტურნირის შემადგენლობა განსაკუთრებით ძლიერია. პირველად მიიღებენ მონაწილეობას თასის გათამაშებაში იტალიელები. გუნდის ახალი მწვრთნელი ჯ. ფერარი თავის წინამორბედთაგან განსხვავებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნულ კადრებს. სწორედ მან დაწინაურა ნაკრებში ცენტრალური მცველი სალვადორე, თავდამსხმელები მორა და სტახინი. დიდ იმედებს ამყარებს მწვრთნელი ჭაბუკ ცენტრფორვარდ ნიკოლზეც.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ავსტრიელთა მონაწილეობა. გასულ გათამაშებაში ავსტრიელებმა ორი მძიმე მარცხი განიცადეს ფრანგებისაგან (2:5 და 2:4), მაგრამ დღევანდელი „ახალი ვუნდერტიმი“ არაფრით არა ჰგავს ადრინდელ გუნდს. ავსტრიელთა მწვრთნელი კ. დეკერი იმედოვნებს, რომ ევროპის თასზე კარგი თამაშით გუნდმა უნდა გაუქარვოს სევდა გულშემატკივრებს, რომელთაც ვერ უპატიებიათ თავიანთი ფედერაციის ხელმძღვანელობისათვის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარის თქმა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უკანასკნელ ხანებში ჩეხების თამაში. მწვრთნელმა რ. ვიტლაჩილმა მიაღწია იმას, რომ დღეისათვის გუნდს თითქმის არა აქვს სუსტი ადგილები. ჩეხ ფეხბურთელები თამაშობენ მაღალტექნიკურად, არ ერიდებიან ძალისმიერ ბრძოლასაც, იმატა სისწრაფემ. „დუკლამ“, რომელიც ნაკრების ბირთვს წარმოადგენს, ნიუ-იორკის დიდ საერთაშორისო ტურნირში, მაყურებლებს უჩვენა ისეთი ტემპერამენტიანი თამაში, რაც ადრე არ იყო დამახასიათებელი ჩეხოსლოვაკიის გუნდებისათვის. ყველაფერი ამის გარდა, ჟურნალ „ფუსბალ-ვოჰენ“ მიმომხილველის ი. სოკოლოს განცხადებით, ჩეხებს ყველა ადგილზე ჰყავთ სულ ცოტა სამი თანაბარი ძალის მოთამაშე მაინც.

გათამაშების ფავორიტებს მიეკუთვნება საფრანგეთის ნაკრებიც (მწვრთნელი ა. ბატე). ვეტერანებთან (კოპა, პიანტონი, ვენსანი, ფონტენი) ერთად ა. ბატეს ეზრდება ნიჭიერი ახალგაზრდობა (ეტი, როი და სხვანი), რომლებმაც საუკეთესოდ ითამაშეს უკანასკნელ საერთაშორისო მატჩებში. რემეტერის წასვლის შემდეგ, როგორც იქნა გამოიძებნა ახალგაზრდა მეკარე ბერნარი, რომელიც საუცხოო რეაქციით გამოირჩევა. მაღალ შეფასებას აძლევენ მეორე მეკარე ტაიანდიესას, რომელმაც რამდენიმეჯერ ითამაშა ნაკრებში.

ესპანეთის ნაკრები მძიმე პრობლემების წინაშე დგას. მან უნდა მონახოს კვალიფიცირებული მწვრთნელი, ვინაიდან ჰ. ესკარტინს აღარ სურს გუნდთან მუშაობა. ფორმალურად ესკარტინი უარობს იმიტომ, რომ იგი, როგორც ფიფა-ს აღმასკომის წევრი და ცნობილი საერთაშორისო მსაჯი, დაკავებულია, სინამდვილეში კი მას არა აქვს ახლანდელი ნაკრების იმედი. გუნდიდან წავიდა სუარესი, ხოლო დი სტეფანო უკვე 36 წლისაა. ასეთ პირობებში ესპანელთა წამყვან ძალას თავდასხმაში წარმოადგენენ მათეოსი (№ 7), დელ სოლი (№ 8) და ჰენტო (№ 11). ნათელი არაა, ვინ იქნება ნაკრების მეკარე — ვისენტე („რეალი“) თუ ჭაბუკი ზამორა („ბარსელონა“), ვის მიენდობა ცენტრალური მცველის პოსტი უკვე საკმაოდ ხანდაზმული ექსურუგვაელის სანტამარიას ნაცვლად.

ევროპის თასის დანარჩენი ფავორიტები არიან უნგრელები და იუგოსლაველები. უნგრელებმა ევროპის ქვეყნებიდან პირველებმა მოიპოვეს ჩილში თამაშის უფლება, მაგრამ არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ისინი წარსულ წლებთან შედარებით აშკარად უარესად თამაშობენ. მეტად არათანაბრად თამაშობს ახალგაზრდობა, ამიტომ ლ. ბარატიმ ისევ ვეტერანები გაიხსენა. ნაკრებში კვლავ შეიყვანეს 37 წლის ბოქიკი, რომელმაც ყველასათვის მოულოდნელად წელს ახალი ენერგიით დაიწყო თამაში.

ჯერ კიდევ შარშან, ევროპის თასზე ჩინებულად ითამაშეს იუგოსლაველებმა (მწვრთნელი ა. ტირნანჩიჩი), რომლებიც ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ. რა თქმა უნდა, იუგოსლავიის წევრები მომავალშიც შეეცდებიან დაამტკიცონ თავისი ძალა აღნიშნულ გათამაშებაში.

ამ გუნდებს მიიჩნევენ ევროპის თასის მეორე გათამაშების ძირითად ფავორიტებად. თასის მფლობელს — საბჭოთა კავშირის ნაკრებს მომავალ წელს მეტად სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა მოუხდება. მან მსოფლიო ჩემპიონატში უნდა მიიღოს მონაწილეობა და თავისი საპატიო წოდებაც დაიცვას.

ბ. გამრეკელი

დამბვრეველი ძვლების პატივსაცემად

ლონდონის ერთ-ერთ არისტოკრატიულ სასაფლაოზე ხაიგეტში დღეს ცერემონიური მარშანლის ქანდაკება. ეგი თავისი სიმდიდრით და შესრულების სარისხით აჭარბებს ... XIX საუკუნის გამოჩენილი მოგზაურის ჯონ ფრანკლინის ქანდაკებას ვატერლოოს მოედანზე. ძეგლი აღმართულია გასული საუკუნის ცნობილი ინგლისელი მოკრივის თომას სეიერსის პატივსაცემად მის საფლავზე.

რა დამსახურება მიუძღვის ამ მოკრივეს ინგლისურ სპორტში? არაფერი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ თომასმა თავის ხანმოკლე სპორტულ კარიერაში დაახლოებით 66 ყბა, 269 ცხვირი, 431 თვალი და ძვლები დაუმტვრია 36 მოკრივეს.

რედაქტორი ი. უგულავა.



8 ოქტომბერი

საერთაშორისო შეხვედრა



ვრი ვ

გდრ (სპორტული კლუბის „როტაციონის“ ნაკრები)-თბილისი (ნაკრები)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.



9 ოქტომბერი

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები

გდრ (ბერლინის ნაკრები)-„ბურევესტნიკი“ (თბილისი)

ვაჟები, ქალები

10 ოქტომბერი

გდრ (ბერლინის ნაკრები)-თბილისის ნაკრები

(ქალები)

გდრ (ბერლინის ნაკრები)-„დინამო“ (თბილისი)

(ვაჟები)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

კროსვორდი

1. მსოფლიოს უხუცესი ფეხბურთელი; 2. საბჭოთა სტაიერი, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი; 3. „ა“ კლასის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ამერიკელი მოკრივე, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი; 5. სპორტული გაზეთი; 6. სპორტული იარაღი; 7. ნორვეგიელი სპორტსმენი, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების არაერთგზის ჩემპიონი ციგურებით ფიგურულ სრიალში ქალთა შორის; 8. საჭადრაკო დებიუტის ერთ-ერთი ვარიანტი; 9. კალათბურთის ინვენტარი, 10. მორიგი კალენდარული შეხვედრები; 11. საბჭოთა გროსმაისტერი; 12. შეფასების ერთეული სპორტის ზოგიერთ სახეობაში; 13. ამერიკელი სპრინტერი, მსოფლიო რეკორდსმენი; 14. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 15. საველოსიპედო სპორტის სახეობა; 16. სპორტული ჯილდო; 17. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია; 18. მშვიდობის ველორბოლის არაერთგზის ჩემპიონი; 19. სპორტული იარაღი; 20. სვლა ჭადრაკში; 21. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი შტანგისტი; 22. უნგრელი მოჭადრაკე; 23. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 24. სპორტის სახეობა; 25. პოპულარული ფრანგი ფეხბურთელი; 26. ქართული სპორტის სახეობა.

ბათუმის სამგზავრო ავტო-სატრანსპორტო კანტორის მუშაკებს კალატოზიშვილს, ჰუსაინოვს, ჩაკვეტაძეს, სიხარულიძეს, ბეჟანიძეს, ფხაკაძეს აინტერესებთ: თამაშობდა თუ არა მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელი ს. მეტრეველი თბილისის „დინამოში“ და რამდენხანს?

ს. მეტრეველს თბილისის „დინამოში“ არ უთამაშნია.

რამდენი საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია საქართველოში?—გვეკითხება ჩვენი გაზეთის მკითხველი ვ. ჯავახია გეგეჭკორიდან.

ჩვენს რესპუბლიკაში არის 10 საერთაშორისო, 136 საკავშირო და 505 რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ადიგენის რაიონის მცხოვრებს ზ. გელხვიიძეს აინტერესებს: თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთაგან ვის აქვს გატანილი ყველაზე მეტი გოლი მიმდინარე სეზონში და შედის თუ არა იგი საბჭოთა კავშირის სნაიპერთა სიაში?

თბილისის „დინამოს“ ცენტრალურ თავდამსხმელს ზ. კალოევს გატანილი აქვს 13 გოლი. იგი სნაიპერთა სიაში მე-6 ადგილზეა.



11 - 15 ოქტომბერი

ვ. ი. ლენინის სახ. სასპორტო დარბაზი

საქართველოს 1961 წლის პირად-გუნდური პირველობა

ტანვარჯიშში

15 ოქტომბერს ჩატარდება ფინალური შეჯიბრებები ტანვარჯიშის ცალკეულ სახეობებში ექვს-ექვსი საუკეთესო ოსტატის მონაწილეობით.

დასაწყისი: 11, 12, 13, 14 ოქტომბერს — 16.00 საათზე, 15 ოქტომბერს — 14.00 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომწვევების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01159